

## ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 16 ძირითადი საშუალებები

### მიზანი

1. წინამდებარე სტანდარტის მიზანია განსაზღვროს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის წესი ისე, რომ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს შეეძლოთ ინფორმაციის მიღება საწარმოს ინვესტიციის შესახებ ძირითად საშუალებებში და ამ ინვესტიციაში მომხდარი ცვლილებების თაობაზე. ძირითადი საშუალებების აღრიცხვის მთავარი საკითხებია: აქტივების აღიარების მომენტი, მათი საბალანსო ღირებულების განსაზღვრა, მათთან დაკავშირებული ცვეთის თანხებისა და გაუფასურების ზარალის აღიარება.

### მოქმედების სფერო

2. ეს სტანდარტი გამოყენებულ უნდა იქნეს ძირითადი საშუალებების აღრიცხვისას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბუღალტრული აღრიცხვის რომელიმე სხვა საერთაშორისო სტანდარტი მოითხოვს ან უშვებს ბუღალტრული აღრიცხვის განსხვავებულ მიდგომას.

3. სტანდარტი არ გამოიყენება:

ა) ფასს 5-ის - „გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“ - მიხედვით გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული ძირითადი საშუალებებისათვის;

ბ) სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან დაკავშირებული ბიოლოგიური აქტივებისთვის, ნაყოფის მომცემი კულტურების გარდა (იხ. ბასს 41 - „სოფლის მეურნეობა“). მოცემული სტანდარტი გამოიყენება ნაყოფის მომცემ კულტურებთან მიმართებით, მაგრამ არ გამოიყენება ნაყოფის მომცემი კულტურების ნაყოფის (პროდუქტის) მიმართ;

გ) მინერალური რესურსების მარაგის ძიებისა და შეფასების აქტივების აღიარებისა და შეფასებისათვის (იხ. ფასს 6 - „მინერალური რესურსების მარაგის ძიება და შეფასება“);

დ) ნავთობის, ბუნებრივი გაზის და ამგვარი არაკვლავწარმოებადი რესურსების მოპოვება-გადამუშავების შემთხვევებში.

თუმცა, ეს სტანდარტი გამოიყენება იმ ძირითადი საშუალებების აღრიცხვისათვის, რომლებიც გამოიყენება (ბ) - (დ) პუნქტებში აღწერილი აქტივების შესაძენად ან ექსპლუატაციისათვის.

4. [გაუქმებულია]

5. საწარმომ, რომელიც თვითღირებულების მოდელს იყენებს საინვესტიციო ქონებისთვის ბასს 40-ის - „საინვესტიციო ქონება“ - შესაბამისად, მოცემული სტანდარტით გათვალისწინებული თვითღირებულების მოდელი უნდა გამოიყენოს მის საკუთრებაში მყოფი საინვესტიციო ქონების მიმართ.

### განმარტებები

6. წინამდებარე სტანდარტში ტერმინები გამოყენებულია შემდეგი მნიშვნელობით:

*ნაყოფის მომცემი კულტურა* არის ცოცხალი მცენარე:

ა) რომელიც გამოიყენება სოფლის მეურნეობის პროდუქციის საწარმოებლად, ან მისაღებად (მისაწოდებლად);

ბ) მოსალოდნელია, რომ ერთზე მეტი პერიოდის განმავლობაში მოიწვევს ნაყოფს; და

გ) მცირეა სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახით მისი გაყიდვის ალბათობა, ნარჩენების სახით თანმდევი გაყიდვების გარდა.

(ნაყოფის მომცემი კულტურის განმარტება უფრო დეტალურად განხილულია ბასს 41-ის 5ა-5ბ პუნქტებში)

*საბალანსო ღირებულება* ის თანხაა, რომლითაც აქტივი აღიარებულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხების გამოკლების შემდეგ.

*აქტივის თვითღირებულება* არის აქტივის შექმნის ან შექმნის დროს გადახდილი ფულის ან ფულის ეკვივალენტების, ან სხვა სახის საზღაურის სამართლიანი ღირებულების თანხა ან, სადაც შესაფერისია, ასეთ აქტივთან დაკავშირებული თანხა, როდესაც თავდაპირველი აღიარება ხდება სხვა სტანდარტების განსაკუთრებული მოთხოვნების შესაბამისად, მაგ., ფასს 2 – „*აქციებზე დაფუძნებული გადახდა*“.

*ცვეთადი ღირებულება* არის აქტივის თვითღირებულება, ან ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივის ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული სხვა თანხა, ნარჩენი ღირებულების გამოკლებით.

*ცვეთა* არის აქტივის ცვეთადი ღირებულების მოხმარებული ნაწილის სისტემატური განაწილება, მისი მომსახურების ვადის განმავლობაში.

*საწარმოსათვის სპეციფიკური ღირებულება* არის იმ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება, რომელსაც საწარმო ელოდება აქტივის გამოყენებიდან და გასვლიდან სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს ან ვალდებულებების გასტუმრების შემთხვევაში.

*სამართლიანი ღირებულება* არის ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნება აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისთვის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს. (იხ. ფასს 13 - „*სამართლიანი ღირებულების შეფასება*“.)

*გაუფასურების ზარალი* არის თანხა, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას.

*ძირითადი საშუალებები* არის მატერიალური აქტივები, რომლებიც:

- ა) იმყოფება საწარმოს მფლობელობაში და გამოიყენება: საქონლის ან მომსახურების წარმოებაში ან მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; და
- ბ) გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

*ანაზღაურებადი ღირებულება* არის უდიდესი გასვლის დანახარჯებით შემცირებულ აქტივის სამართლიან ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის.

*აქტივის ნარჩენი ღირებულება* არის შეფასებითი თანხა, რომელსაც საწარმო ამჟამად მიიღებდა აქტივის გაყიდვიდან, გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯების გამოკლებით, თუ აქტივს უკვე ექნებოდა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს მოსალოდნელი ასაკი და მდგომარეობა.

*აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა* განისაზღვრება:

- ა) პერიოდით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია საწარმოს მიერ აქტივის გამოყენება; ან
- ბ) პროდუქციის ან მსგავსი ნაწარმის რაოდენობით, რომლის მიღებაც მოსალოდნელია საწარმოს მიერ მოცემული აქტივის გამოყენებით.

**აღიარება**

7. ძირითადი საშუალებების ღირებულება უნდა აღიარდეს აქტივად, თუ:
  - ა) მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და
  - ბ) საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.
8. სათადარიგო ნაწილები და დამხმარე მოწყობილობა აღიარდება წინამდებარე ბასს-ის შესაბამისად, როდესაც ისინი აკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას. სხვა შემთხვევაში კლასიფიცირდება, როგორც მარაგი.
9. მოცემული სტანდარტი არ ადგენს აღიარების საზომ ერთეულს, ე.ი. რას მოიცავს ძირითადი საშუალების ერთეული. ამგვარად, საჭიროა განსჯა, აღიარების კრიტერიუმის გამოსაყენებლად ამა თუ იმ საწარმოს კონკრეტული ვითარების მიმართ. ზოგიერთ შემთხვევაში, მიზანშეწონილია, ინ-

დივიდუალურად უმნიშვნელო ერთეულების გაერთიანება და კრიტერიუმის გამოყენება აგრეგირებული ღირებულებისათვის.

10. საწარმო ყველა ძირითად საშუალებას აფასებს აღიარების ზემოაღნიშნული პრინციპის მიხედვით, რომელი თარიღითაც ისინი იქნა შეძენილი. ეს ღირებულება მოიცავს ძირითადი საშუალების თავდაპირველი შეძენის ან შექმნის დროს გაწეულ დანახარჯებს და შემდგომში ნაწილების შეცვლის ან მისი მომსახურებისთვის დამატებით გაწეულ დანახარჯებს. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შეიძლება მოიცავდეს იმ აქტივების იჯარასთან დაკავშირებით გაწეულ დანახარჯებს, რომლებიც გამოიყენება ძირითადი საშუალების მშენებლობის, გაუმჯობესების, მისი ნაწილის შეცვლის, ან მომსახურებისთვის, როგორცაა, მაგალითად აქტივების გამოყენების უფლებების ცვეთა.

**საწყისი დანახარჯები**

11. ძირითადი საშუალებები შეიძლება შეძენილ იქნეს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ან გარემოს დაცვის მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი აქტივების შეძენა პირდაპირ არ უკავშირდება საწარმოს მიერ ამ აქტივების გამოყენებით ეკონომიკური სარგებლის მიღებას, ეს აქტივები შეიძლება აუცილებელი იყოს საწარმოს მიერ სხვა აქტივებით ეკონომიკური სარგებლის მისაღებად. ძირითადი საშუალებების ამგვარი ერთეულების აღიარება აქტივების სახით იმის გამო ხდება, რომ ეს აქტივები საშუალებას იძლევა, საწარმომ მომავალი ეკონომიკური სარგებელი მიიღოს სხვა აქტივებიდან, რაც შეიძლება არ მომხდარიყო ამ აქტივების გარეშე. მაგალითად, ქიმიური ნივთიერებების მწარმოებელ საწარმოს შეიძლება ახალი ტიპის გამონაბოლქვის გამწმენდი დანადგარის შეძენა დასჭირდეს, რათა დააკმაყოფილოს გარემოს დაცვის მოთხოვნები; ეს დანადგარი უნდა აღიარდეს აქტივად, რადგან მის გარეშე საწარმოს მოუწევდა საწარმოო პროცესის შეწყვეტა. ამასთან, ასეთი და მსგავსი აქტივის საბალანსო ღირებულება გაუფასურების კუთხით გადასინჯვას საჭიროებს ბასს 36-ის - „*აქტივების გაუფასურება*“ - შესაბამისად.

**შემდგომი დანახარჯები**

12. მე-7 პუნქტის აღიარების პრინციპის მიხედვით, საწარმო არ აღიარებს ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში მისი ყოველდღიური მომსახურების დანახარჯებს, ეს დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ყოველდღიური მომსახურების დანახარჯები, ძირითადად, მოიცავს შრომითი და სხვა რესურსების დანახარჯებს, ასევე მასში შეიძლება შედიოდეს მცირეფასიანი ნაწილების ღირებულება. ეს დანახარჯები ხშირად აისახება როგორც ძირითადი საშუალებების „რემონტი და მომსახურება“.
13. ძირითადი საშუალებების ზოგიერთი ერთეულის მთავარი დეტალები შესაძლოა მოითხოვდეს რეგულარულ შეცვლას. მაგალითად, ღუმელი შეიძლება საჭიროებდეს რეგულირებას განსაზღვრული ნამუშევარი საათების შემდეგ, ან თვითმფრინავის შიდა აღჭურვილობა, როგორცაა სკამები და სამზარეულო თვითმფრინავის ბორტზე, შეიძლება მრავალჯერ შეიცვალოს მისი მომსახურების ვადის განმავლობაში. ასევე, ძირითად საშუალებათა შემადგენელი ნაწილი შეიძლება შეძენილ იქნეს შეცვლადობის სიხშირის შესამცირებლად (მაგალითად, შენობის შიდა კედლების შეცვლა), ან ერთჯერადი შეცვლის მიზნით. მე-7 პუნქტის აღიარების პრინციპის შესაბამისად, საწარმო აღიარებს ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში შემცვლელი ნაწილების ღირებულებას, თუ იგი აკმაყოფილებს აღიარების კრიტერიუმებს. შემცვლელი ნაწილების საბალანსო ღირებულების აღიარება შეწყდება ამ სტანდარტის აღიარების შეწყვეტის მოთხოვნების შესაბამისად (იხ. 67-72-ე პუნქტები).
14. ძირითადი საშუალების ერთეულის (მაგალითად, თვითმფრინავი) უწყვეტი გამოყენების პირობა მოითხოვს პერიოდულ სრულმასშტაბიან შემოწმებებს დეფექტების გამოსააშკარავებლად, იმის მიუხედავად, ამ ერთეულის ნაწილები შეიცვლება თუ არა. როდესაც ასეთი სრულმასშტაბიანი შემოწმებები ტარდება, მისი ღირებულება აისახება ძირითადი საშუალების ერთეულის საბალანსო ღირებულებაში, როგორც შემცვლელი, თუ აკმაყოფილებს აღიარების კრიტერიუმებს. შესაბამისად, წყდება წინა შემოწმების ღირებულების ნარჩენი საბალანსო ღირებულების (როგორც ფიზიკური ნაწილებისაგან განსხვავებული) აღიარება. ამას ადგილი აქვს იმის მიუხედავად, წინა შემოწმების ღირებულება აისახა თუ არა ერთეულის შეძენის ან შექმნის ოპერაციის ღირებულებაში. თუ აუცილებელია, მომავალი მსგავსი შემოწმების მოსალოდნელი ღირებულება შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმის ინდიკატორად, თუ რა იყო მიმდინარე შემოწმების კომპონენტის ღირებულება, ერთეულის შეძენის ან შექმნის მომენტში.

**ძირითადი საშუალებების შეფასება აღიარებისას**

15. ძირითადი საშუალების ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს, უნდა შეფასდეს მისი თვითღირებულებით.

**თვითღირებულების კომპონენტები**

16. ძირითადი საშუალების თვითღირებულება მოიცავს:

- ა) მისი ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადებისა და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გამოკლების შემდეგ;
- ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის;
- გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში ან, შემდეგში, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში საწარმო აქტივს იყენებს სხვა საქმიანობისათვის, გარდა მარაგის წარმოებისა.

17. აქტივის შეძენასთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯების მაგალითებია:

- ა) დანახარჯები დასაქმებულთა გასამრჯელოებზე (როგორც ეს ტერმინი განმარტებულია ბასს 19-ში - „დასაქმებულთა გასამრჯელოებზე“), რომელიც წარმოიშობა პირდაპირ ძირითადი საშუალებების შეძენასთან ან შექმნასთან დაკავშირებით;
- ბ) აქტივისათვის ადგილმდებარეობის მომზადების დანახარჯები;
- გ) აქტივის ადგილზე მიტანისა და დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯები;
- დ) მონტაჟის დანახარჯები;
- ე) ტესტირების დანახარჯები, რომელიც გაიწევა იმის დასადგენად, მუშაობს თუ არა აქტივი სათანადოდ (ე.ი. იმის შესაფასებლად, აქტივის ტექნიკური და ფიზიკური მახასიათებლები იმგვარია თუ არა, რომ შესაძლებელია მისი გამოყენება წარმოების, ან საქონლის ან მომსახურების მიწოდების პროცესში, სხვა მხარეებზე იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის).
- ვ) პროფესიული მომსახურების დანახარჯები.

18. საწარმო ბასს 2-ს - „მარაგები“ - იყენებს აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის ვალდებულებებზე დანახარჯებისათვის, რომელიც გარკვეულ პერიოდში იქნება გაწეული, იმის გამო რომ მოცემული აქტივი ამ პერიოდის განმავლობაში გამოყენებული იყო მარაგის საწარმოებლად. ბასს 2-ის ან ბასს 16-ის შესაბამისად აღრიცხული დანახარჯების ვალდებულებების აღიარება და შეფასება ხდება ბასს 37-ის - „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“ - თანახმად.

19. ძირითადი საშუალებების თვითღირებულება არ მოიცავს:

- ა) ახლი სიმძლავრეების ათვისების დანახარჯებს;
- ბ) ახალი პროდუქციისა და მომსახურების ათვისების დანახარჯებს (სარეკლამო საქმიანობის დანახარჯების ჩათვლით);
- გ) ახალ ადგილზე ან მომხმარებელთა ახალ კლასთან ბიზნესის წარმოების დანახარჯებს (პერსონალის სწავლების ჩათვლით);
- დ) ადმინისტრაციულ და სხვა საერთო ზედნადებ დანახარჯებს.

20. დანახარჯების აღიარება ძირითადი საშუალების ერთეულის საბალანსო ღირებულებაში წყდება, როდესაც იგი მიტანილია დანიშნულების ადგილზე და ისეთ სამუშაო მდგომარეობაშია მოყვანილი, რაც აუცილებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის აქტივის გამოსაყენებლად. ამიტომ დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გამოყენებასთან ან ხელა-

ხალ გადაადგილებასთან, არ შეიტანება საბალანსო ღირებულებაში. მაგალითად, ძირითადი საშუალების ერთეულის საბალანსო ღირებულებაში არ შევა შემდეგი დანახარჯები:

- ა) დანახარჯები, რომლებიც გაწეულია მაშინ, როდესაც აქტივს უკვე შეუძლია მუშაობა ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაფერისად, მაგრამ ჯერ არ არის გაშვებული ექსპლუატაციაში, ან ფუნქციონირებს სრულზე ნაკლები დატვირთვით;
- ბ) თავდაპირველი საწარმოო დანაკარგები, როგორცაა დანახარჯები, რომლებსაც ადგილი აქვს მანამ, სანამ ძირითადი საშუალების პროდუქციაზე მოთხოვნა იზრდება.
- გ) საწარმოს ოპერაციების მთლიანი ან ნაწილობრივი რეორგანიზაციის ან ადგილმდებარეობის შეცვლის დანახარჯები.

20ა. შესაძლებელია, რომ გარკვეული ნაწარმი შეიქმნას ძირითადი საშუალების იმ ადგილზე მიტანისა და ისეთ სამუშაო მდგომარეობაშია მოყვანის პროცესში, რაც აუცილებელია აქტივის ექსპლუატაციისთვის ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად (მაგალითად ნიმუშები, რომლებიც შეიქმნა აქტივის გამართული მუშაობის ტესტირებისას). საწარმო ამგვარი ნაწარმის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსულობას და მათ თვითღირებულებას აღიარებს მოგებაში ან ზარალში შესაბამისი სტანდარტების მიხედვით, ხოლო ამგვარი ნაწარმის თვითღირებულებას აფასებს ბასს 2-ის შეფასების მოთხოვნების გამოყენებით.

21. ძირითადი საშუალებების შექმნასთან ან მოდერნიზაციასთან დაკავშირებით ადგილი აქვს ზოგიერთ ოპერაციას, რომელიც საჭირო არ არის აქტივის დანიშნულების ადგილას მისატანად ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, რაც აუცილებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის აქტივის გამოსაყენებლად. ასეთ შემთხვევით ოპერაციებს შეიძლება ადგილი ჰქონდეს ძირითადი საშუალებების შექმნამდე ან მოდერნიზაციამდე, ან მისი შექმნის ან მოდერნიზაციის პროცესში. მაგალითად, შემოსავალი შეიძლება მიღებულ იქნეს მშენებლობის დაწყებამდე სამშენებლო ტერიტორიის საავტომობილო სადგომად გამოყენებით. ვინაიდან ამგვარი შემთხვევითი დანახარჯები აუცილებელი არ არის ძირითადი საშუალების დანიშნულების ადგილამდე მისატანად და ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, რაც აუცილებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის აქტივის გამოსაყენებლად, ამგვარ შემთხვევით ოპერაციებთან დაკავშირებული შემოსავალი და ხარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში და მიეცემა შემოსავლისა და ხარჯის შესაბამისი კლასიფიკაცია.

22. საწარმოს მიერ შექმნილი აქტივის თვითღირებულების განსაზღვრა შექმნილი აქტივის ანალოგიურად ხდება. თუ საწარმო ანალოგიურ აქტივებს გასაყიდად აწარმოებს, ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, მაშინ აქტივის საბალანსო ღირებულება გასაყიდად წარმოებული ანალოგიური აქტივის თვითღირებულების ტოლია (იხ. ბასს 2). ამგვარად, საწარმომ მის მიერ შექმნილი აქტივის გამოყენების შემთხვევაში, ამ აქტივის ღირებულებაში არ უნდა აღრიცხოს მოსალოდნელი შიდა მოგების თანხა. ანალოგიურად, საწარმოს მიერ აქტივის შექმნის შემთხვევაში, ნედლეულისა და მასალების, შრომითი და სხვა რესურსების ზენორმატიული დანახარჯები არ უნდა ჩაირთოს აქტივის საბალანსო ღირებულებაში. ბასს 23 – „ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები“ – განსაზღვრავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც პროცენტი შეიძლება აღიარდეს საწარმოს მიერ შექმნილი ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების ელემენტის სახით.

22ა. ნაყოფის მომცემი კულტურები იმავე მეთოდით აღირიცხება, როგორც საწარმოს მიერ შექმნილი ძირითადი საშუალებები, იმ მომენტამდე, სანამ არ მიიტანენ იმ ადგილას და არ მოიყვანენ ისეთ მდგომარეობაში, რაც აუცილებელია მათ გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის. შესაბამისად, ამ სტანდარტში აუცილებელია იგულისხმოს, რომ ტერმინი „მშენებლობა“ ისეთ საქმიანობებსაც მოიცავს, რაც აუცილებელია ნაყოფის მომცემი კულტურების მოსაყვანად (მოსაშენებლად), იმ მომენტამდე, სანამ არ მიიტანენ იმ ადგილას და არ მოიყვანენ ისეთ მდგომარეობაში, რაც აუცილებელია მათ გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის.

**თვითღირებულების განსაზღვრა**

23. ძირითადი საშუალებების ერთეულის თვითღირებულება განისაზღვრება აღიარების დღისათვის მიმდინარე გადასახდელი თანხის ეკვივალენტით. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პირობა სცილდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების ფარგლებს, მაშინ ამ თანხასა და მთლი-

ან გადასახდელ თანხას შორის სხვაობა აღიარებული იქნება, როგორც საპროცენტო ხარჯი კრედიტის ვადის განმავლობაში, თუკი არ მოხდა მისი კაპიტალიზაცია ბასს 23-ის შესაბამისად.

24. ძირითადი საშუალების ერთი ან რამდენიმე ერთეული შეიძლება შეძენილ იქნეს არაფულად აქტივზე ან აქტივებზე გაცვლით, ან ერთობლივად, როგორც ფულად, ისე არაფულად აქტივებზე გაცვლის გზით. შემდგომი განხილვა ეხება ერთი არაფულადი აქტივის გაცვლას მეორეზე, თუმცა მოიცავს ისეთ შემთხვევებსაც, რაც წინა წინადადებაში განვიხილეთ. ასეთი ძირითადი საშუალებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით გარდა იმისა, როდესაც (ა) ასეთ გაცვლას არა აქვს კომერციული შინაარსი, ან (ბ) არც მიღებული და არც გაცემული აქტივების სამართლიანი ღირებულება არ არის საიმედოდ შეფასებადი. შეძენილი ერთეული ამგვარად მაშინაც კი ფასდება, როდესაც საწარმოს არ შეუძლია გაცემული აქტივის აღიარების დაუყოვნებლივ შეწყვეტა. თუ შეძენილი აქტივი სამართლიანი ღირებულებით არ არის შეფასებული, მისი თვითღირებულება განისაზღვრება გაცემული აქტივის საბალანსო ღირებულებით.
25. აქტივების გაცვლას აქვს თუ არა კომერციული შინაარსი საწარმო ადგენს ამ ოპერაციის შედეგად მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების ცვლილების ხარისხის განხილვით. იმ შემთხვევაში მიიჩნევა, რომ გაცვლის ოპერაციას კომერციული შინაარსი აქვს, თუ:
- ა) მიღებული აქტივის ფულადი ნაკადების კონფიგურაცია (რისკი, დრო და თანხა) განსხვავდება გაცემული აქტივის ფულადი ნაკადების კონფიგურაციისგან; ან
  - ბ) ამ ნაწილში საწარმოს ოპერაციები გავლენას ახდენს საწარმოსათვის სპეციფიკურ ღირებულებაზე, რაც გაცვლის შედეგია; და
  - გ) (ა) ან (ბ) პუნქტი მნიშვნელოვნად განსხვავებულია გაცვლილი აქტივების სამართლიან ღირებულებასთან შედარებით.

გაცვლითი ოპერაციის კომერციული შინაარსის განსაზღვრისათვის, საწარმოს საქმიანობის იმ ნაწილის საწარმოსათვის სპეციფიკურმა ღირებულებამ, რომელზეც გავლენას ახდენს გაცვლითი ოპერაცია, უნდა ასახოს გადასახადების შემდგომი ფულადი ნაკადები. ამგვარი ანალიზის შედეგი შეიძლება ნათელი იყოს საწარმოს მიერ დეტალური გამოთვლების ჩატარების გარეშე.

26. აქტივის სამართლიანი ღირებულება საიმედოდ განისაზღვრება, თუ: (ა) აქტივის სამართლიანი ღირებულების ცვალებადობა სამართლიანი ღირებულებების გონივრული შეფასებების დიაპაზონში მნიშვნელოვანი არ არის, ან (ბ) შესაძლებელია ამ დიაპაზონში სამართლიანი ღირებულების განსხვავებული მნიშვნელობების აღბათობების შეფასება და მათი გამოყენება სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად. თუ საწარმოს შეუძლია, საიმედოდ განსაზღვროს მიღებული ან გაცემული აქტივის სამართლიანი ღირებულება, მაშინ მიღებული აქტივის თვითღირებულების დასადგენად გამოიყენება გაცემული აქტივის სამართლიანი ღირებულება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მიღებული აქტივის სამართლიანი ღირებულება უფრო ზუსტად არის გამოხატული.

27. [გაუქმებულია]

28. ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება შეიძლება შემცირდეს სახელმწიფო გრანტების შემთხვევაში (იხილეთ ბასს 20 – „სახელმწიფო გრანტების ბუღალტრული აღრიცხვა და სახელმწიფო დახმარების განმარტებითი შენიშვნები“).

**თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასება**

29. **საწარმომ უნდა აირჩიოს 30-ე პუნქტში მოცემული თვითღირებულების მოდელი, ან 31-ე პუნქტში მოცემული გადაფასების მოდელი, როგორც საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკა და უნდა გამოიყენოს იგი ძირითადი საშუალებების მთელი ჯგუფის მიმართ.**

29ა. ზოგიერთი საწარმო მართავს შიდა ან გარე საინვესტიციო ფონდს, რომელიც ინვესტორებს უზრუნველყოფს სარგებლით, რომელიც განისაზღვრება ფონდში ფლობილი პაების მიხედვით. ანალოგიურად, ზოგიერთი საწარმო უშვებს პირდაპირი მონაწილეობის პირობების მქონე სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფებს და თავად ინარჩუნებს საბაზისო აქტივებს. ზოგიერთი ამგვარი ფონდი ან საბაზისო აქტივი მოიცავს მესაკუთრის მიერ დაკავებულ ქონებას. საწარმომ ბასს 16 უნდა გამოიყენოს მესაკუთრის მიერ დაკავებული იმ ქონების მიმართ, რომელიც მიეკუთვნება ამგვარ ფონდს ან წარმოადგენს საბაზისო აქტივს. 29 პუნქტის მოთხოვნის მიუხედავად, საწარმოს უფლება აქვს აირჩიოს, რომ ამგვარ ქონებას შეაფასებს სამართლიანი ღირებულების მოდელის

გამოყენებით ბასს 40-ის შესაბამისად. ამ გადაწყვეტილების მიღების მიზნებისთვის სადაზღვევო ხელშეკრულებები მოიცავს დისკრეციული მონაწილეობის პირობების მქონე საინვესტიციო ხელშეკრულებებსაც (იხ. ფასს 17 – „სადაზღვევო ხელშეკრულებები“; სადაც მოცემულია ამ პუნქტში გამოყენებული ტერმინების განმარტებები).

- 29ბ. საწარმომ ძირითადი საშუალებების განცალკევებულ კლასად უნდა მიიჩნოს მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონება, რომელიც 29ა პუნქტის შესაბამისად, შეფასებულია საინვესტიციო ქონებისათვის განსაზღვრული სამართლიანი ღირებულის მოდელის გამოყენებით.

**თვითღირებულების მოდელი**

30. აქტივად აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებების ესა თუ ის ერთეული უნდა აღირიცხებოდეს მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

**გადაფასება**

31. აქტივად აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებების ესა თუ ის ერთეული, რომლის სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ, უნდა აისახოს გადაფასებული თანხით, რომელიც გადაფასების მომენტისათვის არსებული აქტივის სამართლიანი ღირებულების ტოლია, შემდგომში დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხების გამოკლებით. გადაფასება რეგულარულად უნდა ტარდებოდეს იმისათვის, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი სამართლიანი ღირებულებისაგან, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

- 32- [გაუქმებულია]

- 33.

34. გადაფასების სიხშირე დამოკიდებულია ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულების ცვლილებებზე. როდესაც გადაფასებული აქტივის სამართლიანი ღირებულება არსებითად განსხვავდება მისი საბალანსო ღირებულებისაგან, აუცილებელია მისი შემდგომი გადაფასება. ზოგიერთი აქტივისათვის, რომელთა სამართლიანი ღირებულება სწრაფ და მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის, აუცილებელია ყოველწლიური გადაფასება. შედარებით სტაბილური საბაზრო ფასების მქონე აქტივებისათვის, საკმარისია გადაფასების ჩატარება სამ-ხუთ წელიწადში ერთხელ.

35. როდესაც ძირითადი საშუალებების გადაფასება ტარდება, აქტივის საბალანსო ღირებულება კორექტირდება გადაფასებულ ღირებულებამდე. გადაფასების თარიღისათვის აქტივი აისახება შემდეგი ორი მეთოდიდან ერთ-ერთის გამოყენებით:

- ა) აქტივის პირვანდელი ღირებულება კორექტირდება იმგვარად, რომ შესაბამისობაში იყოს აქტივის საბალანსო ღირებულების გადაფასებასთან. მაგალითად, პირვანდელი ღირებულება შეიძლება გადაანგარიშდეს დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების საფუძველზე, ან საბალანსო ღირებულების ცვლილების პროპორციულად. გადაფასების თარიღისთვის არსებული დაგროვილი ცვეთა კორექტირდება შემდეგ ორ სიდიდეს შორის სხვაობის თანხით: აქტივის პირვანდელი ღირებულება და აქტივის საბალანსო ღირებულება დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით; ან
- ბ) დაგროვილი ცვეთის თანხა აკლდება აქტივის პირვანდელ ღირებულებას.

დაგროვილი ცვეთის კორექტირების თანხა შეადგენს აქტივის საბალანსო ღირებულების ზრდის ან შემცირების თანხის ნაწილს, რომელიც აისახება 39-ე და მე-40 პუნქტების შესაბამისად.

36. როდესაც ძირითადი საშუალებების რომელიმე ერთეულის გადაფასება ხდება, მთლიანად უნდა მოხდეს იმ ჯგუფის გადაფასება, რომელსაც მოცემული ერთეული მიეკუთვნება.

37. ძირითადი საშუალებების თითოეულ ჯგუფში გაერთიანებულია მსგავსი ბუნებისა და ეკონომიკური დანიშნულების აქტივები. ამ ჯგუფების მაგალითებია:

- ა) მიწა;
- ბ) მიწა და შენობა-ნაგებობები;
- გ) მანქანა-დანადგარები;

- დ) გემები;
  - ე) თვითმფრინავები;
  - ვ) სატრანსპორტო საშუალებები;
  - ზ) ავეჯი და მოწყობილობა;
  - თ) საოფისე აღჭურვილობა; და
  - ი) ნაყოფის მომცემი კულტურები.
38. ერთი და იმავე ჯგუფის აქტივების გადაფასება ერთდროულად უნდა მოხდეს, რათა თავიდან იქნეს აცილებული აქტივების შერჩევითი გადაფასება და საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში განსხვავებული თარიღებისათვის შეფასებული დანახარჯებისა და ღირებულებების ერთმანეთში არევა. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, დაშვებულია ზოგიერთი აქტივის წინმსწრები გადაფასება, თუ გადაფასება ხდება მოკლე პერიოდის განმავლობაში და მულტივად განახლებადია.
39. როდესაც გადაფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება, ნამეტი უნდა აღიარდეს სხვა სრულ შემოსავალში და დაგროვდეს საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში „გადაფასების ნამეტი“ სახელწოდებით. ამასთან, გადაფასებიდან მიღებული ზრდა უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში იმ ოდენობით, რამდენიც საჭიროა ადრე მოგებაში ან ზარალში აღიარებული იმავე აქტივის ჩამოფასების აღსადგენად.
40. თუ აქტივის გადაფასების შედეგად მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება, ეს შემცირება მოგებაში ან ზარალში უნდა აღიარდეს. ამასთან, შემცირების თანხა უნდა აღიარდეს სხვა სრულ შემოსავალში იმ ოდენობით, რა სიდიდის საკრედიტო ნაშთიც არსებობს გადაფასების ნამეტში ამ აქტივთან დაკავშირებით. სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემცირების თანხა ამცირებს საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში „გადაფასების ნამეტი“ სათაურის ქვეშ დაგროვილ თანხას.
41. საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში ჩართული გადაფასების ნამეტი შეიძლება გადატანილ იქნეს გაუნაწილებელი მოგების ანგარიშზე, როდესაც წყდება აქტივის აღიარება. მან შეიძლება მოიცვას ნამეტის მთლიანი მოცულობა, მოცემული აქტივის გასვლის ან გაყიდვის შემთხვევაში, მაგრამ ზოგჯერ ეს გადატანა ხდება საწარმოს მიერ აქტივის გამოყენების პროცესში. ასეთ შემთხვევაში გადატანილი ნამეტის თანხა იქნება სხვაობა აქტივის გადაფასებული ღირებულებიდან გაანგარიშებულ ცვეთის თანხასა და მისი თავდაპირველი თვითღირებულების მიხედვით გაანგარიშებულ ცვეთის თანხას შორის. გადაფასების ნამეტის თანხის გადატანა გაუნაწილებელი მოგების ანგარიშზე არ აისახება მოგებაში ან ზარალში.
42. ბასს 12 - „*მოგებიდან გადასახადები*“ - განსაზღვრავს ძირითადი საშუალებების გადაფასებით გამოწვეული ცვლილებების გავლენას მოგებიდან გადასახადზე.

**ცვეთა**

43. ძირითადი საშუალების ყოველი ერთეულის ნაწილს, რომელსაც გააჩნია მნიშვნელოვანი ღირებულება ერთეულის მთლიან ღირებულებასთან მიმართებაში, ცვეთა ცალ-ცალკე უნდა დაერიცხოს.
44. საწარმო ადგენს ძირითადი საშუალებების ერთეულის თავდაპირველად აღიარებული მნიშვნელოვანი წილის მოცულობას და ცვეთას არიცხავს ცალ-ცალკე, თითოეულ ასეთ ნაწილს. მაგალითად, შეიძლება მიზანშეწონილი იყოს, რომ თვითმფრინავის კორპუსსა და მის ძრავებს ცალ-ცალკე დაერიცხოს ცვეთა. ანალოგიურად, თუ საწარმო იმენს ძირითად საშუალებას, რომელიც ჩვეულებრივი იჯარის ობიექტია და იგი არის მეიჯარე, შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს ცვეთის ცალკე დარიცხვა მის თვითღირებულებაში ასახულ ისეთ თანხებზე, რომლებიც მისაკუთვნილებელია საბაზრო პირობებთან შედარებით ხელსაყრელ ან არახელსაყრელ საიჯარო პირობებზე.
45. ძირითადი საშუალებების არსებით ნაწილს შეიძლება სხვა ანალოგიური ძირითადი საშუალებების მსგავსი სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის მეთოდები ჰქონდეს. ამგვარი ნაწილები შეიძლება გაერთიანდეს ცვეთის ხარჯის განსაზღვრის დროს.
46. საწარმო ძირითადი საშუალების ერთეულის ზოგიერთ ნაწილს ცვეთას არიცხავს ცალკე, ასევე ცალკე არიცხავს ცვეთას ამ ერთეულის დარჩენილ ნაწილს. დარჩენილი ნაწილი შედგება აღნიშნული ერთეულის იმ ნაწილებისაგან, რომლებიც ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი არ არის.



თუ საწარმო ამ ნაწილში ცვლილებებს ელოდება, საჭიროა დარჩენილ ნაწილზე ცვეთის მიახლოებითი მეთოდების გამოყენება, რომლებიც სამართლიანად წარმოადგენენ აქტივის გამოყენების წესს და/ან ამ ნაწილის გამოყენების ვადას.

- 47. საწარმოს შეუძლია ამჯობინოს ცვეთის ცალკე დარიცხვა ძირითად საშუალებათა ერთეულთა იმ ნაწილებზე, რომელთა თვითღირებულება მნიშვნელოვანი არ არის ერთეულის მთლიან თვითღირებულებასთან მიმართებით.
- 48. **ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს თანხა შედის სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.**
- 49. ყოველი პერიოდის ცვეთის თანხა, ჩვეულებრივ, აისახება მოგებაში ან ზარალში. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში აქტივში განივთებული ეკონომიკური სარგებელი საწარმოს მიერ გამოიყენება სხვა აქტივების საწარმოებლად. ამ შემთხვევაში, ცვეთის თანხა სხვა აქტივის ღირებულების ნაწილს შეადგენს და ჩართულია მის საბალანსო ღირებულებაში. მაგალითად, საწარმოო დანიშნულების მანქანა-დანადგარების ცვეთის თანხა ჩაირთვება მარაგის გადამუშავების დანახარჯებში (იხ. ბასს 2). ანალოგიურად, საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებისათვის გამოყენებული ძირითადი საშუალებების ცვეთა შეიძლება ჩაირთოს არამატერიალური აქტივის თვითღირებულებაში, რომლის აღიარება ხდება ბასს 38-ის - „*არამატერიალური აქტივები*“ - თანახმად.

**ცვეთადი ღირებულება და ცვეთის პერიოდი**

- 50. **აქტივის ცვეთადი ღირებულება უნდა განაწილდეს სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.**
- 51. **აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა ყოველი ფინანსური წლის ბოლოს მაინც უნდა გადაისინჯოს და თუ მოსალოდნელი მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისაგან, ცვლილებები უნდა აისახოს, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება, ბასს 8-ის - „*სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები*“ - შესაბამისად.**
- 52. ცვეთა დაირიცხება იმ შემთხვევაშიც, თუ აქტივის სამართლიანი ღირებულება აღემატება მის საბალანსო ღირებულებას მანამდე, სანამ ნარჩენი ღირებულება არ გადააჭარბებს მის საბალანსო ღირებულებას. აქტივის რემონტი არ მოქმედებს ცვეთის დარიცხვის მოთხოვნაზე.
- 53. აქტივის ცვეთადი ღირებულება განისაზღვრება აქტივის ნარჩენი ღირებულების გამოკლების შემდეგ. პრაქტიკაში, აქტივის ნარჩენი ღირებულება ხშირად უმნიშვნელოა და, ამდენად, არაარსებითია ცვეთადი ღირებულების გაანგარიშებაში.
- 54. აქტივის ნარჩენი ღირებულება შეიძლება გაიზარდოს მოცულობამდე, რომელიც ტოლია ან აღემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას. თუ ეს მოხდება, აქტივის ცვეთის ხარჯი ნულს გაუტოლდება, მანამდე, სანამ ნარჩენი ღირებულება არ დაიწევს აქტივის საბალანსო ღირებულებაზე დაბლა.
- 55. აქტივზე ცვეთის დარიცხვა მაშინ იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის. აქტივის ცვეთის დარიცხვა წყდება იმ დღიდან, რაც იგი კლასიფიცირდება გასაყიდად გამოიზნულად (ან ჩართულია გასაყიდად გამოიზნულად კლასიფიცირებული გამსვლელ ჯგუფში) ფასს 5-ის შესაბამისად და მის შემდეგ, რაც წყდება ამ აქტივის აღიარება. ამგვარად, არ წყდება ცვეთის დარიცხვა, როდესაც აქტივი ხდება გამოუყენებელი ან აქტიური მოხმარებიდან გამოსულია, სანამ აქტივს სრულად არ დაერიცხება ცვეთა. ამასთან, ცვეთის გამოყენების მეთოდების შესაბამისად, ცვეთის ხარჯი შეიძლება ნული იყოს, სანამ პროდუქცია არ იქნება გამოშვებული.
- 56. ძირითად საშუალებებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის გამოყენება საწარმოს მიერ, ძირითადად, აქტივის ექსპლუატაციის გზით ხდება. თუმცა, ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა აქტივის გამოუყენებლობის პერიოდში, ხშირად იწვევს იმ ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელსაც მოელოდნენ აქტივისაგან. შესაბამისად, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დადგენისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორი:

- ა) საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენება. გამოყენებას განსაზღვრავს აქტივის სავარაუდო სიმძლავრე ან ფიზიკურად გამოშვებული პროდუქცია;
  - ბ) სავარაუდო ფიზიკური ცვეთა და ტექნიკური მოძველება, რომელიც დამოკიდებულია ისეთ საწარმოო ფაქტორებზე, როგორიცაა: ცვლების რაოდენობა, საწარმოს სარემონტო სამუშაოების პროგრამა და გამოუყენებელი აქტივების შენახვისა და დაცვის წესი;
  - გ) ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რაც გამოწვეულია საწარმოო პროცესის ცვლილებით ან გაუმჯობესებით, ან მოცემული აქტივის მეშვეობით წარმოებულ საქონელზე ან მომსახურებაზე ბაზრის მოთხოვნის ცვლილებით. ამა თუ იმ აქტივის მეშვეობით წარმოებული პროდუქციის სამომავლო გასაყიდი ფასის მოსალოდნელი შემცირება შეიძლება აქტივის მოსალოდნელი ტექნოლოგიური ან კომერციული მოძველების მიმანიშნებელი იყოს, რაც, თავის მხრივ, შეიძლება მოწმობდეს აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას;
  - დ) აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები, მაგალითად, შესაბამისი იჯარის ვადის გასვლა.
57. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის. საწარმოს აქტივების მართვის პოლიტიკა შეიძლება გულისხმობდეს აქტივების გაყიდვას, გარკვეული დროის ან აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის გარკვეული ნაწილის მოხმარების შემდეგ. აქედან გამომდინარე, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა შეიძლება მისი ეკონომიკური ვარგისიანობის ვადაზე ნაკლები აღმოჩნდეს. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის დადგენა დამოკიდებულია საწარმოს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებაზე, რომელიც ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას.
58. მიწა და შენობები განიხილება დამოუკიდებელ აქტივებად და აღირიცხება ცალ-ცალკე, მათი ერთად შეძენის შემთხვევაშიც კი. გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა, ისეთის, როგორიცაა კარიერი და მალარო, მიწას, ჩვეულებრივ, გააჩნია შეუზღუდავი მომსახურების ვადა და, შესაბამისად, არ ხდება მისი ცვეთა. შენობები კი ცვეთადი აქტივებია, მათი შეზღუდული მომსახურების ვადის გამო. მიწის ღირებულების გაზრდა გავლენას არ ახდენს მასზე განლაგებული შენობების ცვეთის განსაზღვრაზე.
59. თუ მიწის ღირებულება მოიცავს მოედნის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და აღდგენის დანახარჯებს, მიწის ღირებულების ამ ნაწილს ცვეთა დაერიცხება ამ დანახარჯების გაწვიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების პერიოდში. ზოგ შემთხვევაში, მიწას თვითონ შეიძლება გააჩნდეს შეზღუდული მომსახურების ვადა, ამ შემთხვევაში მას დაერიცხება ცვეთა მისგან მისაღები სარგებლიანობის ხასიათის გათვალისწინებით.

**ცვეთის მეთოდი**

60. **ცვეთის გაანგარიშებისთვის გამოყენებულმა მეთოდმა უნდა ასახოს საწარმოს მიერ ამ აქტივიდან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მიღების ხასიათი.**
61. **ძირითადი საშუალებებისათვის ცვეთის მეთოდი პერიოდულად, ფინანსური წლის ბოლოს მაინც, უნდა გადაისინჯოს და, თუ მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება მოცემული აქტივიდან მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის ხასიათში, შესაბამისად უნდა შეიცვალოს ცვეთის მეთოდიც. ეს ცვლილება განიხილება და აისახება, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება, ბასს 8-ის შესაბამისად.**
62. აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში მათი ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე გასანაწილებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა მეთოდი. ეს მეთოდები მოიცავს: წრფივი ცვეთის მეთოდს, კლებადი ნაშთის მეთოდს და წარმოებულ ერთეულთა მეთოდს. წრფივი მეთოდი გულისხმობს ცვეთის ერთი და იმავე თანხის დარიცხვას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე, თუ არ შეიცვალა აქტივის ნარჩენი ღირებულება. კლებადი ნაშთის მეთოდის გამოყენება იწვევს ცვეთის კლებადი თანხების დარიცხვას აქტივის მომსახურების ვადის განმავლობაში. წარმოებულ ერთეულთა მეთოდის გამოყენება ნიშნავს ცვეთის დარიცხვას აქტივების მოსალოდნელი გამოყენების ან წარმოებული პროდუქციის მოცულობის საფუძველზე. საწარმო ირჩევს მეთოდს, რომელიც მეტად ასახავს აქტივში განივთებული

მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლის გამოყენების მოდელს. ეს მეთოდი მუდმივად უნდა გამოიყენებოდეს პერიოდიდან პერიოდად მანამ, სანამ არ შეიცვლება მოცემული აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის გამოყენების მოსალოდნელი მოდელი.

- 62ა. დაუშვებელია ცვეთის ისეთი მეთოდის გამოყენება, რომელიც აქტივის მონაწილეობით განხორციელებული საქმიანობიდან მიღებულ ამონაგებს ეყრდნობა. აქტივის მონაწილეობით განხორციელებული საქმიანობიდან მიღებული ამონაგები, როგორც წესი, სხვა ფაქტორებს ასახავს და არა აქტივში განივთებული ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. მაგალითად, ამონაგებზე გავლენას ახდენს სხვა რესურსები (დანახარჯები) და პროცესები, გაყიდვის პროცესთან დაკავშირებული საქმიანობები, ასევე გაყიდვების მოცულობისა და გასაყიდი ფასების ცვლილებები. ამონაგების ფასის კომპონენტზე შეიძლება გავლენა მოახდინოს ინფლაციამ, რაც არანაირად არ არის დაკავშირებული აქტივის გამოყენების წესთან.

**გაუფასურება**

- 63. იმის დასადგენად, გაუფასურდა თუ არა ძირითადი საშუალებების ერთეული, საწარმო იყენებს ბასს 36-ს - „*აქტივების გაუფასურება*“. ეს სტანდარტი განსაზღვრავს, თუ როგორ გადასინჯავს საწარმო თავისი აქტივების საბალანსო ღირებულებას, როგორ განსაზღვრავს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და როდის აღიარებს ან აღადგენს გაუფასურების ზარალს.

- 64. [გაუქმებულია]

**გაუფასურების კომპენსირება**

- 65. კომპენსაცია, რომელიც მიღებულია მესამე მხარეებისაგან ძირითადი საშუალების ერთეულის გაუფასურების, დაკარგვის ან გაცემის შემთხვევაში, უნდა შევიდეს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც წარმოიშვა კომპენსაციის მიღების მოთხოვნა.

- 66. ძირითადი საშუალების ერთეულის გაუფასურება ან დანაკარგი, მესამე მხარის მიმართ კომპენსაციასთან დაკავშირებული შესაბამისი მოთხოვნები ან გადახდები და შემცვლელი აქტივების ნებისმიერი შემდგომი შესყიდვები ან შექმნა დამოუკიდებელი ეკონომიკური მოვლენებია და დამოუკიდებლად აისახება შემდეგნაირად:

- ა) ძირითადი საშუალებების ერთეულთა გაუფასურების აღიარება ხდება ბასს 36-ის შესაბამისად;
- ბ) ხმარებიდან ამოღებულ ან გასული ძირითადი საშუალებების ერთეულთა აღიარების შეწყვეტა წარმოებს ამ სტანდარტის შესაბამისად;
- გ) მესამე მხარეებისაგან მისაღები კომპენსაციის ოდენობა ძირითადი საშუალების ერთეულზე, რომელიც გაუფასურდა, დაიკარგა ან გაცემულ იქნა, აისახება მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაჩნდება კომპენსაციის მიღების მოთხოვნის ვალდებულება; და
- დ) ძირითადი საშუალების ერთეულთა ღირებულება, რომელიც აღდგენილ, შეძენილ ან შექმნილ იქნა, როგორც შემცვლელი, განისაზღვრება მოცემული სტანდარტით.

**აღიარების შეწყვეტა**

- 67. ძირითადი საშუალების ერთეულის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება:

- ა) გაყიდვის შემთხვევაში; ან
- ბ) როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

- 68. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი უნდა აისახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა (იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ფასს 16 - „*იჯარა*“ - სხვა მოთხოვნებს ადგენს უკუიჯარის პირობით აქტივის გაყიდვისთვის.). შემოსულობა არ კლასიფიცირდება ამონაგებად.

- 68ა. თუმცა, საწარმომ, რომელიც ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში რეგულარულად ყიდის ძირითად საშუალებებს, რომელსაც ფლობს იჯარით გასაცემად, ამგვარი აქტივები უნდა გადაიტანოს მარაგის კატეგორიაში საბალანსო ღირებულებით, როდესაც შეწყდება მათი გაცემა იჯარით და

ძირითადი საშუალება გადაიქცევა გასაყიდად გამიზნულად. ამგვარი აქტივებიდან მიღებული შემოსულობა უნდა აღიარდეს როგორც ამონაგები ფასს 15-ის - „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ - შესაბამისად. ფასს 5 არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივები, რომელსაც საწარმო ფლობს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში გაყიდვის მიზნით, გადაიტანება მარაგში.

- 69. ძირითადი საშუალების ერთეულის გასვლა შეიძლება მოხდეს მრავალი გზით (მაგალითად, გაყიდვით, ფინანსური იჯარით დატვირთვით, ან უსასყიდლოდ გადაცემით). ძირითადი საშუალების ერთეულის გასვლის თარიღი არის თარიღი, როდესაც მიმღები საწარმო კონტროლს მოიპოვებს ამ ერთეულზე ფასს 15-ში მოცემული იმ მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება შესასრულებელი ვალდებულების დაკმაყოფილების მომენტის განსაზღვრას. ფასს 16 გამოიყენება აქტივის უკუიჯარის პირობით გასვლის შემთხვევებში.
- 70. მე-7 პუნქტის აღიარების მოთხოვნების შესაბამისად, საწარმო აღიარებს ძირითადი საშუალებების ერთეულის საბალანსო ღირებულებაში ერთეულის ნაწილის შემცველის ღირებულებას, როდესაც იგი წყვეტს შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარებას, იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა შეცვლილი ნაწილის ცვეთის დარიცხვა ცალკე. თუ საწარმოსათვის შეუძლებელია შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების განსაზღვრა, მან შეიძლება გამოიყენოს შემცველი აქტივის ღირებულება იმის მაჩვენებლად, თუ რა იყო შეცვლილი ნაწილის ღირებულება შექმნის ან შექმნის მომენტში.
- 71. **შემოსულობა ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას, უნდა განისაზღვროს, როგორც სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად მიღებულ წმინდა შემოსულობასა (თუ ასეთი არსებობს) და მის საბალანსო ღირებულებას შორის.**
- 72. ანაზღაურების თანხა უნდა აისახოს არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილ შემოსულობაში ან ზარალში, რომელიც განსაზღვრულია გარიგების ფასის დასადგენად ფასს 15-ის 47-72-ე პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. შემოსულობაში ან ზარალში ასახული ანაზღაურების შეფასებული თანხის შემდგომი ცვლილებები უნდა აისახოს ფასს 15-ის იმ მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება გარიგების ფასის ცვლილებებს.

**განმარტებითი შენიშვნები**

- 73. ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში ძირითადი საშუალებების ყოველი ჯგუფისათვის უნდა გამოყვანილდეს შემდეგი ინფორმაცია:
  - ა) პირვანდელი ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებული შეფასების საფუძველი;
  - ბ) გამოყენებული ცვეთის მეთოდები;
  - გ) აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა ან გამოყენებული ცვეთის განაკვეთები;
  - დ) პირვანდელი ღირებულება და დაგროვილი ცვეთა (დაგროვილ გაუფასურების ზარალთან ერთად) პერიოდის დასაწყისში და ბოლოს; და
  - ე) პერიოდის საწყისი და საბოლოო საბალანსო ღირებულებების შეჯერება, სადაც ნაჩვენებია იქნება:
    - (i) შემოსვლა;
    - (ii) აქტივები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც გასაყიდად გამიზნული ან ჩართულია გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებულ გამსვლელ ჯგუფში, ფასს 5-ის შესაბამისად და სხვა გასვლები;
    - (iii) შექმნა საწარმოთა გაერთიანების გზით;
    - (iv) ღირებულების მატება ან კლება, რომელიც გამოწვეულია გადაფასებების შედეგად 31-ე, 39-ე და მე-40 პუნქტების თანახმად და ბასს 36-ის შესაბამისად სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული ან აღდგენილი გაუფასურების ზარალით;
    - (v) მოგებაში ან ზარალში აღიარებული გაუფასურების ზარალი ბასს 36-ის თანახმად;
    - (vi) მოგებაში ან ზარალში აღიარებული გაუფასურების ზარალის აღდგენა ბასს 36-ის თანახმად;

- (vii) ცვეთა;
  - (viii) წმინდა საკურსო სხვაობები, წარმოშობილი ფინანსური ანგარიშგების სამუშაო ვალუტიდან განსხვავებულ წარსადგენ ვალუტაში გადაყვანის შედეგად, საწარმოს საგარეო ოპერაციების წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშების ჩათვლით; და
  - (ix) სხვა ცვლილებები.
74. საწარმომ ფინანსურ ანგარიშგებაში ასევე უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:
- ა) საკუთრების უფლებაზე არსებული შეზღუდვები და ვალდებულებების უზრუნველსაყოფად დაგირავებული ძირითადი საშუალებების ღირებულება;
  - ბ) შექმნის პროცესში მყოფი ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში აღიარებული დანახარჯების ოდენობა; და
  - გ) ძირითადი საშუალებების შეძენის პოტენციური სახელშეკრულებო ვალდებულებების თანხა;
- 74ა. თუ შემდეგი ინფორმაცია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ცალკე არ არის წარდგენილი, მაშინ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში გამჟღავნებული უნდა იყოს ასევე:
- ა) ძირითადი საშუალების გაუფასურების, დაკარგვის ან გადაცემისთვის მესამე მხარეებისაგან მიღებული კომპენსაციის ოდენობა, რაც ასახულია მოგებაში ან ზარალში; და
  - ბ) 20ა პუნქტის შესაბამისად მოგებაში ან ზარალში ასახული შემოსულობებისა და დანახარჯების ოდენობები, რომლებიც დაკავშირებულია იმ წარმოებულ ნაწარმთან, რომელიც არ წარმოადგენს საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის შედეგს და სრული შემოსავლის ანგარიშგების მუხლ(ებ)ი, რომლის შემადგენლობაშიც არის ასახული ამგვარი შემოსულობები და დანახარჯები.
75. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა და ცვეთის მეთოდის შერჩევა განსჯის საგანია. აქედან გამომდინარე, არჩეული მეთოდისა და გამოთვლილი სასარგებლო მომსახურების ვადის ან ცვეთის განაკვეთების შესახებ დართული ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, შეაფასონ საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ არჩეული პოლიტიკა და შედარება გააკეთონ სხვა საწარმოებთან. ამავე მიზნით აუცილებელია ინფორმაციის გამჟღავნება:
- ა) ცვეთის თანხის შესახებ, რომელიც აღიარდა პერიოდის მოგებაში ან ზარალში ან სხვა აქტივის თვითღირებულების ნაწილად; და
  - ბ) აკუმულირებული ცვეთის თანხა პერიოდის ბოლოს.
76. საწარმო სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილების ხასიათსა და შედეგს, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მიმდინარე პერიოდზე ან მოახდენს მომავალ საანგარიშგებო პერიოდებზე განმარტავს ბასს 8-ის შესაბამისად. ამგვარი ინფორმაციის საჭიროება შეიძლება გამოიწვიოს ისეთი შეფასებების ცვლილებებმა, როგორცაა:
- ა) ნარჩენი ღირებულება;
  - ბ) დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის ხარჯები;
  - გ) სასარგებლო მომსახურების ვადა; და
  - დ) ცვეთის მეთოდი.
77. როდესაც ძირითადი საშუალებები ასახულია გადაფასებული ღირებულებით, ფასს 13-ით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა, აუცილებელია შემდეგი ინფორმაციის გამჟღავნება:
- ა) გადაფასების თარიღი;
  - ბ) მოწვეული იყო თუ არა დამოუკიდებელი შემფასებელი;
  - გ-დ) [გაუქმებულია]
  - ე) ძირითადი საშუალებების ცალკეული გადაფასებული ჯგუფისათვის საბალანსო ღირებულება, რომელიც აღიარდებოდა, თუ ისინი აისახებოდა თვითღირებულების მოდელით; და

**ვ) გადაფასებით მიღებული ნამეტი, როგორც პერიოდში მომხდარი ცვლილების მაჩვენებელი და აქციონერებზე ამ რეზერვის ნაშთის განაწილების ნებისმიერი შეზღუდვა.**

78. საწარმო, 73 (ე) (iv)-(vi) პუნქტის თანახმად მოთხოვნილი ინფორმაციის დამატებით, ამჟღავნებს ინფორმაციას ძირითადი საშუალებების გაუფასურების შესახებ ბასს 36-ის მიხედვით.

79. საწარმოს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს შეიძლება გამოადგეთ ასევე შემდეგი ინფორმაცია:

- ა) დროებით გამოუყენებელი ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება;
- ბ) სრულად ამორტიზებული ძირითადი საშუალებების პირვანდელი ღირებულება, რომელთა გამოყენება ისევ გრძელდება;
- გ) ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულება, რომელიც გამოსულია აქტიური მოხმარებიდან და კვალიფიცირებული არ არის, როგორც გასაყიდად გამიზნული, ფასს 5-ის შესაბამისად; და
- დ) თვითღირებულების მოდელის გამოყენებისას, ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულება, როცა იგი არსებითად განსხვავდება საბალანსო ღირებულებისაგან.

ამიტომ, რეკომენდებულია საწარმოების მიერ ამ თანხების მითითება.

**გარდამავალი დებულებები**

**80. 24-26-ე პუნქტების მოთხოვნები, ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი შეფასების მიმართ აქტივების გაცვლის ოპერაციებთან დაკავშირებით, გამოიყენება პერსპექტიულად, მხოლოდ მომავალი ოპერაციების მიმართ.**

80ა. 2013 წლის დეკემბერში გამოცემულმა დოკუმენტმა - „*ფასს სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესება, 2010-2012 წლების ციკლი*“ - გამოიწვია 35-ე პუნქტის შეცვლა. საწარმომ აღნიშნული ცვლილება უნდა გამოიყენოს ყველა გადაფასების მიმართ, რომელიც აღიარებული იყო იმ წლიურ პერიოდებში, რომელიც იწყება ამ ცვლილების თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის, ან მის შემდგომ და ასევე უშუალო წინა პერიოდში. საწარმოს ასევე უფლება აქვს, კორექტირებული შესადარისი ინფორმაცია წარმოადგინოს ნებისმიერი წინა წარდგენილი პერიოდისთვის, მაგრამ მას ამის გაკეთება არ ევალება. თუ საწარმო წარმოადგენს არაკორექტირებულ შესადარის ინფორმაციას რომელიმე წინა პერიოდის შესახებ, მან ნათლად უნდა მიუთითოს, რომელი ინფორმაცია არ არის კორექტირებული, აღნიშნოს, რომ ეს ინფორმაცია მომზადებულია სხვა საფუძველით და ახსნას, რა საფუძველია ეს.

80ბ. იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც საწარმო პირველად გამოიყენებს დოკუმენტს - „*სოფლის მეურნეობა: ნაყოფის მომცემი კულტურები*“ (ბასს 16-ისა და ბასს 41-ის შესწორებები), მას არ ევალება ბასს 8-ის 28(ვ) პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად რაოდენობრივი ინფორმაციის გამჟღავნება მიმდინარე პერიოდის შესახებ. თუმცა, საწარმომ უნდა წარმოადგინოს ბასს 8-ის 28(ვ) პუნქტის მოთხოვნების შესაბამისი რაოდენობრივი ინფორმაცია თითოეული წინა წარდგენილი პერიოდისთვის.

80გ. საწარმოს უფლება აქვს, აირჩიოს შემდეგი მიდგომის გამოყენება: ნაყოფის მომცემი კულტურა შეაფასოს სამართლიანი ღირებულებით, რომელიც განსაზღვრული იქნება იმ საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი ყველაზე ადრეული პერიოდის დასაწყისისთვის, როდესაც საწარმო პირველად გამოიყენებს დოკუმენტს - „*სოფლის მეურნეობა: ნაყოფის მომცემი კულტურები*“ (ბასს 16-ისა და ბასს 41-ის შესწორებები) და ეს სამართლიანი ღირებულება მიიჩნიოს ამ თარიღისთვის დასაშვებ საწყის ღირებულებად. სხვაობა ადრინდელ საბალანსო ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას შორის უნდა აღიარდეს ყველაზე ადრეული წარდგენილი პერიოდის გაუნაწილებელი მოგების საწყის ნაშთში.

80დ. 2020 წლის მაისში გამოცემულმა დოკუმენტმა - „*ძირითადი საშუალებები \_ დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე მიღებული შემოსულობა*“ - გამოიწვია მე-17 და 74-ე პუნქტების შეცვლა და 20ა და 74ა პუნქტების დამატება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს რეტროსპექტულად, მაგრამ მხოლოდ იმ ძირითად საშუალებებთან მიმართებით, რომელთა მიტანა იმ ადგილას და ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანა, რაც აუცილებელია აქტივის ექსპლუატაციისთვის ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად, განხორციელდა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი ყველაზე ადრინდელი პერიოდის დაწყების თარიღისთვის

ან ამ თარიღის შემდეგ, რომელშიც საწარმო პირველად გამოიყენებს ამ ცვლილებებს. საწარმომ მოცემული ცვლილებების პირველად გამოყენებით გამოწვეული კუმულაციური ეფექტი უნდა აღიაროს, როგორც გაუნაწილებელი მოგების (ან, შესაბამის შემთხვევაში, საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტის) საწყისი ნაშთის კორექტირება ზემოაღნიშნული ყველაზე ადრინდელი პერიოდის დაწყებისას.

**ძალაში შესვლის თარიღი**

- 81. წინამდებარე სტანდარტი ძალაში შედის იმ ფინანსური ანგარიშგებისათვის, რომელიც მოიცავს 2005 წლის 1 იანვარს დაწყებულ ან მის შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებს. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ამ სტანდარტს 2005 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდებისთვის გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.
- 81ა. საწარმომ მე-3 პუნქტში შეტანილი ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2006 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენებაც, თუ საწარმო ფასს 6-ის გამოყენებას უფრო ადრეული პერიოდისათვის დაიწყებს, ამავე პერიოდისთვის უნდა გამოიყენოს ზემოაღნიშნული ცვლილებებიც.
- 81ბ. ბასს 1-მა - „*ფინანსური ანგარიშგების წარდგენა*“ (შესწორებული 2007 წელს) განაპირობა ფასს სტანდარტებში გამოყენებული ტერმინოლოგიის შეცვლა. გარდა ამისა, გამოიწვია 39-ე, მე-40 და 73(ე) (iv) პუნქტების შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2009 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. თუ საწარმო ბასს 1-ს (შესწორებული 2007 წელს) უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, ამავე პერიოდისთვის უნდა გამოიყენოს ეს ცვლილებებიც.
- 81გ. ფასს 3-მა - „*საწარმოთა გაერთიანება*“ (შესწორებული 2008 წელს) შეცვალა 44-ე პუნქტი. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილება უნდა გამოიყენოს 2009 წლის 1 ივლისს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. თუ საწარმო ფასს 3-ს (შესწორებული 2008 წელს) უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, ამავე პერიოდისთვის უნდა გამოიყენოს ეს ცვლილებაც.
- 81დ. 2008 წლის მათში გამოცემულმა დოკუმენტმა - „*ფასს სტანდარტების გაუმჯობესება*“ - გამოიწვია მე-6 და 69-ე პუნქტების შეცვლა და 68(ა) პუნქტის დამატება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2009 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ამ ცვლილებებს უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში და იმავე პერიოდისთვის გამოიყენოს ბასს 7-ში - „*ფულადი ნაკადების ანგარიშგება*“ - შეტანილი ცვლილებებიც.
- 81ე. 2008 წლის მათში გამოცემული დოკუმენტის - „*ფასს სტანდარტების გაუმჯობესება*“ - შედეგად შეიცვალა მე-5 პუნქტი. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილება უნდა გამოიყენოს 2009 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენებაც, თუ საწარმო ამავე დროს გამოიყენებს ბასს 40-ის მე-8, მე-9, 22-ე, 48-ე, 53-ე, 53(ა), 53(ბ) 54-ე, 57-ე და 85(ბ) პუნქტებში შეტანილ ცვლილებებსაც. თუ საწარმო ამ ცვლილებას უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.
- 81ვ. 2011 წლის მათში გამოცემულმა ფასს 13-მა გამოიწვია მე-6 პუნქტში მოცემული სამართლიანი ღირებულების განმარტების შეცვლა, ასევე 26-ე, 35-ე და 77-ე პუნქტების შეცვლა და 32-ე და 33-ე პუნქტების გაუქმება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც გამოიყენებს ფასს 13-ს.
- 81ზ. 2012 წლის მათში გამოცემულმა დოკუმენტმა - „*ფასს სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესება, 2009-2011 წლების ციკლი*“ - გამოიწვია მე-8 პუნქტის შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილება უნდა გამოიყენოს რეტროსპექტულად ბასს 8-ის - „*სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები*“ - შესაბამისად, 2013 წლის 1 იანვარს, ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ამ ცვლილებას უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

- 81თ. 2013 წლის დეკემბერში გამოცემულმა დოკუმენტმა - „ფასს სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესება, 2010-2012 წლების ციკლი“ - გამოიწვია 35-ე პუნქტის შეცვლა და 80ა პუნქტის დამატება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილება უნდა გამოიყენოს 2014 წლის 1 ივლისს, ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ამ ცვლილებას უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.
- 81ი. 2014 წლის მაისში გამოცემულმა დოკუმენტმა - „ცვეთისა და ამორტიზაციის დასაშვები მეთოდების განმარტება“ (ბასს 16-ისა და ბასს 38-ის შესწორებები) გამოიწვია 56-ე პუნქტის შეცვლა და 62ა პუნქტის დამატება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს პერსპექტიულად 2016 წლის 1 იანვარს, ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ამ ცვლილებებს უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.
- 81კ. 2014 წლის მაისში გამოცემულმა ფასს 15-მა – „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ – გამოიწვია 68ა, 69-ე და 72-ე პუნქტების შეცვლა. საწარმომ ეს ცვლილებები უნდა გამოიყენოს იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც გამოიყენებს ფასს 15-ს.
- 81ლ. 2014 წლის ივნისში გამოცემულმა დოკუმენტმა - „სოფლის მეურნეობა: ნაყოფის მომცემი კულტურები“ (ბასს 16-ისა და ბასს 41-ის შესწორებები) გამოიწვია მე-3, მე-6 და 37-ე პუნქტების შეცვლა და 22ა და 80ბ-80გ პუნქტების დამატება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2016 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს ამ ცვლილებებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში. საწარმომ ეს ცვლილებები რეტროსპექტიულად უნდა გამოიყენოს ბასს 8-ის შესაბამისად, 80გ პუნქტით განსაზღვრული გამონაკლისების გარდა.
- 81მ. 2016 წლის იანვარში გამოცემულმა ფასს 16-მა - „იჯარა“ - გამოიწვია მე-4 და 27-ე პუნქტების გაუქმება და მე-5, მე-10, 44-ე და 68-69-ე პუნქტების შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები იმ პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ფასს 16-ს.
- 81ნ. 2017 წლის მაისში გამოცემულმა ფასს 17-მა გამოიწვია 29ა და 29ბ პუნქტების დამატება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები იმ პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ფასს 17-ს.
- 81ო. 2020 წლის მაისში გამოცემულმა დოკუმენტმა - „ძირითადი საშუალებები – დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე მიღებული შემოსულობა“ – გამოიწვია მე-17 და 74-ე პუნქტების შეცვლა და 20ა, 74ა და 80დ პუნქტების დამატება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2022 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს ამ ცვლილებებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

## **სხვა ოფიციალური დოკუმენტების გაუქმება**

82. ეს სტანდარტი ცვლის 1998 წელს მიღებულ ბასს 16-ს - „ძირითადი საშუალებები“.
83. სტანდარტი ცვლის შემდეგ ინტერპრეტაციებს:
- ა) იმკ 6 – „არსებული პროგრამული უზრუნველყოფის მოდიფიცირების დანახარჯები“;
  - ბ) იმკ 14 – „ძირითადი საშუალებები - გაუფასურების ან ზარალის კომპენსირება“; და
  - გ) იმკ 23 – „ძირითადი საშუალებები - კაპიტალური რემონტის დანახარჯები“.